საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება

წინასაარჩევნო ტელედებატებთან დაკავშირებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი 2012 წლის წინასაარჩევნო ტელედებატებს გამართავს. ისევე, როგორც 2010 წელს მაუწყებლის პარტნიორები იქნებიან ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტო (USAID), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES). ტელედებატებში საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტების საფუძველზე მონაწილეობის უფლება აქვთ: ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა და ლეიბორისტულ პარტიას.

9 სექტემბერს დაგეგმილ პირველ დებატზე საზოგადოებრივი მაუწყებელი იწვევს აღნიშნული პარტიების მიერ დასახელებულ პრემიერმინისტრობის კანდიდატებს. მეორე დებატი 18 სექტემბერს იგეგმება იმავე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ ნომრებს შორის.

შესაბამისი ოფიციალური შეტყობინება პარტიებს დღესვე დაეგზავნება, რომელზეც წერილობით დასტურს, ან უარს საზოგადოებრივი მაუწყებელი 4 სექტემბერს 18 საათამდე ელის.

დებატები მონაწილეებთან წინასწარ შეთანხმებული წესების მიხედვით წარიმართება. წესები კი საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის ექსპერტის მიერ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობითა არის შემუშავებული. შეგახსენებთ, რომ 2010 წელს თბილისის მერობის კანდიდატთა შორის დებატები საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სწორედ ამ წესების მიხედვით ჩაატარა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მზადაა ხვალიდანვე დაიწყოს კონსულტაციები და მოწვეულ პარტიებს დეტალურად გააცნოს დებატების მეთოდოლოგია და წესები.

ვიმედოვნებთ, რომ აღიშნული პოლიტიკური პარტიები გაიზიარებენ დიდ საზოგადოებრივ ინტერესს და ჩვენთან თანამშრომლობით მისცემენ ქართულ საზოგადოებას ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას.

დებატებისათვის კითხვების შერჩევა მოხდება ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგად მოსახლეობის მიერ ყველაზე აქტუალურად გამოვლენილი თემატიკისა და მედიის წარმომადგენელთა მიერ გამოგზავნილი შეკითხვების საფუძველზე, ელექტრონულ მისამართზე: debatebi@gpb.ge